



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/109

(კოდიფიცირებული)

ქ. ბათუმი

13 სექტემბერი, 2019 წ.

ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2019-2020 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2019-2020 სასწავლო წელი წარმართოს შემდეგი განრიგით:

ა) 2019 - 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი დაიწყოს 2019 წლის 28 ოქტომბერს და დასრულდეს 2020 წლის 22 თებერვალს;

ბ) შემოდგომის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2020 წლის 24 თებერვლიდან 28 მარტის ჩათვლით; *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 02 მარტის N 06-01/19 დადგენილებით.)*

გ) შემოდგომის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2020 წლის 30 მარტიდან 4 აპრილის ჩათვლით. *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 02 მარტის N 06-01/19 დადგენილებით.)*

დ) გაზაფხულის სემესტრის სააუდიტორიო სამუშაო დაიწყოს 2020 წლის 6 აპრილს და დასრულდეს 2020 წლის 25 ივლისს; *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 02 მარტის N 06-01/19 დადგენილებით.)*

ე) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2020 წლის 27 ივლისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით; *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 02 მარტის N 06-01/19 დადგენილებით.)*

ვ) გაზაფხულის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2020 წლის 17 აგვისტოდან 22 აგვისტოს ჩათვლით. *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 02 მარტის N 06-01/19 დადგენილებით.)*

1¹. წინამდებარე დადგენილების პირველი პუნქტის „ა-გ“ პუნქტებით განსაზღვრული 2020 წლის შემოდგომის სემესტრის აკადემიური კალენდარი გავრცელდეს ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე მე-2, მე-5 და მე-6 ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტებზე (მათთვის 2019-2020 სასწავლო წლის მე-2 სემესტრი). *დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 05 დეკემბრის N 06-01/138 დადგენილებით.*

„1². ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე მე-2, მე-5 და მე-6 ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის 2020 წლის გაზაფხულის სემესტრის (2020-2021 სასწავლო წლის პირველი სემესტრი) სასწავლო პროცესის ვადები (აკადემიური კალენდარი) განისაზღვროს შემდეგნაირად: *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 05 დეკემბრის N 06-01/138 დადგენილებით.) (ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 02 მარტის N 06-01/19 დადგენილებით.)*

ა) გაზაფხულის სემესტრის სააუდიტორიო სამუშაო დაიწყოს 2020 წლის 6 აპრილს და დასრულდეს 2020 წლის 25 ივლისს;

ბ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2020 წლის 27 ივლისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით;

გ) გაზაფხულის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2020 წლის 17 აგვისტოდან 22 აგვისტოს ჩათვლით.

2. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ-ს კანცელარიასთან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატთან თვალსაჩინო ადგილზე, ბსუ-ს ვებგვერდსა და ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე.

3. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი

მერაბ ხალვაში